სექტორის მიმოხილვა

სოფლის მეურნეობის სექტორი 2022 წელს

2023 წლის ივნისში საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა გამოსცა წლიური პუბლიკაცია სოფლის მეურნეობის სექტორის შესახებ – *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2022“*. პუბლიკაციის თანახმად, სოფლის მეურნეობის, მეტყევეობის და მეთევზეობის გამოშვებამ 2022 წელს მშპ-ის 7.5% შეადგინა (მუდმივ ფასებში), რაც 2021 წლის მაჩვენებელზე (8%-ზე) ნაკლებია, თუმცა შეესაბამება გასული წლების ზოგად ტენდენციას (სოფლის მეურნეობის მშპ მთლიანი მშპ-ის 7-8%-ს შეადგენდა). გარდა ამისა, 2021 წელთან შედარებით, სოფლის მეურნეობის სექტორის მშპ 2022 წელს 2.9%-ით გაიზარდა და **უკანასკნელი დეკადის განმავლობაში უმაღლეს ნიშნულს მიაღწია.** მიუხედავად იმისა, რომ მშპ გაიზარდა, ერთწლოვანი კულტურების წარმოება შემცირდა. ყველაზე მეტად შემცირდა ლობიოს წარმოება (2021 წელთან შედარებით – 31%-ით). მარცვლეულის წარმოება 14%-ით შემცირდა, კარტოფილის – 15%-ით, ბოსტნეულის – 14%-ით, ნესვის კი – 7%-ით. ამავდროულად, გაიზარდა მზესუმზირის (33%) და ერთწლიანი ბალახების (50%) წარმოება.





რაც შეეხება მრავალწლოვან კულტურებს, ყველაზე მეტად გაიზარდა კენკრის წარმოების წლიური მაჩვენებელი (23%), შემდეგ მოდის კურკოვანი ხილის (8%), ყურძნის (6%) და თესლოვანი ხილის (4%) წარმოების ზრდა. ამავდროულად, სუბტროპიკული ხილის წარმოება 23%-ით შემცირდა, კაკლოვანის – 19%-ით, ციტრუსის კი – 14%-ით. მეცხოველეობის პროდუქციის წარმოებაში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ დაფიქსირებულა.





წყარო: *საქსტატი, 2023*

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ხორბლის თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტი 15%-დან 22%-მდე გაიზარდა (2022 წლისთვის). გარდა ამისა, 2021 წელთან შედარებით მნიშვნელოვნად (34%-ით) გაიზარდა ყურძნის თვითუზრუნველ-ყოფის კოეფიციენტიც. თვითუზრუნველყოფის კოეფიციენტის ყველაზე დიდი კლება დაფიქსირდა კარტოფილისა (14%) და სიმინდის (12%) შემთხვევაში. აღსანიშნავია, რომ პროდუქტების უმეტესობის შემთხვევაში, თვითუზრუნ-ველყოფის კოეფიციენტი უმნიშვნელოდ, 3-4%-ით შემცირდა.



წყარო: *საქსტატი, 2023*

ფასების მიმოხილვა

ადგილობრივი ფასები

2023 წლის მარტიდან მაისამდე ქვეყანაში ფასები თვიურ ჭრილში მცირდებოდა. სამომხმარებლო ფასე-ბის ინდექსი (CPI) 2023 წლის მარტში თებერვალთან შე-დარებით 0.2%-ით დაეცა. აპრილში ფასები 0.7%-ით შემ-ცირდა. მაისში კი სამომხმარებლო ფასები წინა თვეს-თან შედარებით უმნიშვნელოდ, 0.1%-ით შემცირდა.

2023 წლის მარტიდან მაისამდე ფასები მცირდებოდა სურსათისა და უალკოჰოლო სასმელების ჯგუფშიც. 2022 წლის მარტში სურსათის ფასების ინდექსი (FPI) წინა თვესთან შედარებით 0.1%-ით შემცირდა. ფასე-ბის კლების მაჩვენებელი იანვარში 2.1% იყო, თებერ-ვალში კი – 1.7%.





წყარო: *საქსტატი, 2023. შენიშვნა: წინა თვის ინდექსის მაჩვენებელი 100 იყო.*

2023 წლის მარტ-მაისის თვეებში სამომხმარებლო ფასების ინდექსი (CPI) წლიურ ჭრილში იზრდებოდა. ამ წლის მარტში CPI 2022 წლის მარტთან შედარებით 5.3%-ით გაიზარდა; შესაბამისად, აპრილისა და მაისის თვეებისთვის ცვლილების პროცენტული მაჩვენებლები 2.7% და 1.5%-ს შეადგენდა.

2023 წლის მაისში, სურსათის და არაალკოჰოლური სასმელების ფასების მაჩვენებელი წლიურ ჭრილში 3.3%-ით გაიზარდა, რაც CPI-ის ზრდის მთლიანი მაჩვენებლის 1.19 პროცენტს შეადგენს. ძირითადად, გაძვირდა შემდეგ ქვეჯგუფებში შემავალი პროდუქტები:



ხორცი და ხორცის პროდუქტები (9.7%)

რძე, ყველი და კვერცხი (9.3%)

მინერალური და წყაროს წყალი, უალკოჰოლო სასმელები და ნატურალური წვენები (7,1%)

წყარო: *საქსტატი, 2023*

უფრო ვრცლად სურსათის ფასებზე: ხორცი

ამ წლის მაისში ხორცის ფასებთან მიმართებით აღმავალი ტენდენცია შეინიშნებოდა. 2023 წლის მარტში, 2022 წლის მარტთან შედარებით, ხორცის ფასები 10.4%-ით გაიზარდა, აპრილში – 9.1%-ით, მაისში ხორცის ფასის ზრდის მაჩვენებელმა კი 9.7% შეადგინა. საქსტატის ინფორმაციით, 2023 წლის მაისში ხორცის კატეგორიაში შემავალი თითქმის ყველა პროდუქტის ფასი გაიზარდა. ყველაზე მეტად გაძვირდა საქონლის ხორცი (18%) და საქონლის ფარში (16%); 2022 წლის მაისში შესაბამისი წლიური ინფლაციის მაჩვენებლები 5% და 6% იყო. ხორცის ფასის ზრდა შესაძლოა განპირობებული იყოს გაზრდილი ადგილობრივი მოთხოვნითა და საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდის ტენდენციით.

ვაჭრობის სტატისტიკის თანახმად, 2023 წლის მარტ-მაისის პერიოდში ექსპორტირებული ხორცის ღირებულებამ 10 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 31%-ით აღემატება 2022 წლის იმავე პერიოდში დაფიქსირებულ მაჩვენებელს (7.8 მლნ. აშშ დოლარი). ამავდროულად, ოდნავ შემცირდა ექსპორტირებული ხორცის რაოდენობა (-1.4%) და ხორცპროდუქტების ფასი ყოველ ტონაზე 1.7-დან 2.2 ათას აშშ დოლარამდე გაიზარდა. გაიზარდა იმპორტირებული ხორცის როგორც ღირებულება (35%-ით), ისე – რაოდენობა (22%-ით), ხოლო ფასი ყოველი ტონა იმპორტირებული ხორცპროდუქტისთვის 1.8 ათასი აშშ დოლარიდან 2.3 აშშ დოლარამდე გაიზარდა. ამრიგად, ეს მიუთითებს გაზრდილი საერთაშორისო ფასების გავლენას ადგილობრივ ფასებზე.

მიუხედავად იმისა, რომ 2023 წლის გაზაფხულის სეზონზე ადგილობრივი წარმოების სტატისტიკა ჯერ ხელმისაწვდომი არ არის, საქსტატის უახლესი პუბლიკაციის *„საქართველოს სოფლის მეურნეობა 2022"* მიხედვით, 2022 წელს, 2021 წელთან შედარებით, ხორცის წარმოების მაჩვენებელი საგრძნობლად არ შეცვლილა (3%-ით გაიზარდა, 72.6 ათასი ტონიდან 74.6 ათას ტონამდე). როგორც ჩანს, ადგილობრივი წარმოება დიდად არ განაპირობებს ფასების ზრდას, ამიტომ, სავარაუდოდ, მნიშვნელოვან როლს თამაშობს საერთაშორისო ბაზრებზე ფასების ზრდა, რასაც ემატება მიგრანტების დიდი ნაკადის შემოდინებით გამოწვეული გაზრდილი მოთხოვნა.



წყარო: *საქსტატი, 2023*

საერთაშორისო ფასები

2023 წლის მარტ-მაისის პერიოდში საერთაშორისო ბაზრებზე წლიურ ჭრილში ფასები მცირდებოდა. 2023 წლის თებერვალში, 2022 წლის იმავე პერიოდთან შედარებით, სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) სურსათის ფასების ინდექსი მკვეთრად დაეცა (20,5%). 2023 წლის აპრილსა და მაისში კი შემცირება 19.4% და 21.3% იყო. მაისში ინდექსი 2022 წლის მარტში დაფიქსირებული რეკორდული მაჩვენებლის შემდეგ მნიშვნელოვნად, 35.4 პუნქტით შემცირდა. აღნიშნული კლება ძირითადად გამოწვეული იყო მცენარეული ზეთების, მარცვლეულისა და რძის ნაწარმის ფასების ინდექსის შესამჩნევი შემცირებით. თუმცა ეს კლება ნაწილობრივ დააბალანსა შაქრისა და ხორცის ფასების ინდექსების ზრდამ. ხორცის ფასების ინდექსი ბოლო ოთხი თვის განმავლობაში იზრდებოდა, რაც ძირითადად გლობალურ ბაზარზე ფრინველის ხორცის ფასის ზრდით, საერთაშორისო ბაზრებზე არსებული მაღალი მოთხოვნითა და მიწოდებასთან დაკავშირებული სირთულეებით იყო განპირობებული.



წყარო: FAO, 2023

საერთაშორისო ვაჭრობა

2023 წლის იანვარ-მაისის პერიოდში საქართველოდან განხორციელებული მთლიანი ექსპორტის ღირებულება 2,502 მლნ. აშშ დოლარს შეადგენდა, რაც საგრძნობი, 19%-იანი ზრდაა გასული წლის იმავე პერიოდთან შედარებით (2,110 მლნ. აშშ დოლარი). რაც შეეხება აგრო ექსპორტს, ის მნიშვნელოვნად, 32-%-ით გაიზარდა და 2022 წელს არსებული 400 მლნ. აშშ დოლარიდან 2023 წელს 530 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ამავდროულად, აგრო ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 19%-დან 21%-მდე გაიზარდა.

საქართველოში განხორციელებული იმპორტის მთლიანი მაჩვენებლის ზრდა ექსპორტის მთლიანი მაჩვენებლის ზრდის ტოლი იყო (19%) და 2022 წლის იანვარ-მაისის პერიოდში არსებული 4,920 მლნ. აშშ დოლარიდან 2023 წლის იმავე პერიოდში 5,860 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა. აგრო იმპორტი 25%-ით გაიზარდა და 2022 წელს არსებული 633 მლნ. აშშ დოლარიდან 2023 წელს 792 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. აგრო იმპორტის წილი იმპორტის მთლიან მოცულობაში უმნიშვნელოდ, 13%-დან 14%-მდე გაიზარდა.

მთლიანობაში, მიუხედავად იმისა, რომ ქართული ლარი 2022 წლის ბოლოდან მყარდებოდა აშშ დოლართან მიმართებით და იანვარ-მაისის პერიოდში ეს მდგომარეობა შენარჩუნდა, მოსალოდნელი იყო, რომ მოთხოვნა ქართულ პროდუქციაზე შემცირებულიყო. მიუხედავად ამისა, საქართველოდან განხორციელებული ექსპორტი კვლავ ინარჩუნებს ზრდის ტენდენციას.





წყარო: საქსტატი, 2023

ქვემოთ მოცემულ გრაფიკზე წარმოდგენილია 2022 წლის იანვარ-მაისის პერიოდის 2023 წლის იმავე პერიოდთან შედარებით ყველაზე მეტად გაზრდილი ტოპ ხუთი პროდუქტი საექსპორტო ღირებულებით. გარდა სტანდარტულად მთავარი საექსპორტო საქონლისა (ახალი ყურძნისგან დამზადებული ღვინო, სპირტიანი სასმელები, მინერალური და ბუნებრივი წყლები), აღნიშნულ ჩამონათვალს სიგარეტი და თამბაქოს ნაწარმიც დაემატა. 2023 წელს სიგარეტის ექსპორტი 2022 წელთან შედარებით 201%-ით გაიზარდა. 2023 წელს ექსპორტის ყველაზე დიდი წილი ყირგიზეთსა (40%) და ყაზახეთში (50%) განხორციელდა. ვინაიდან სიგარეტის ადგილობრივი წარმოება შედარებით მცირეა, აღნიშნული მაჩვენებელი ძირითადად რეექსპორტიდან მომდინარეობს.



წყარო: *საქსტატი, 2023*
შენიშვნა: აგრო ექსპორტი მოიცავს სურსათის ექსპორტსაც.

პოლიტიკის მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტმა „სამრეწველო ემისიების შესახებ“ კანონპროექტი პირველი მოსმენით დაამტკიცა

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ, ქალბატონმა ნინო თანდილაშვილმა წარმოადგინა კანონპროექტი „სამრეწველო ემისიების შესახებ“, რომელიც მიზნად ისახავს საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შესახებ შეთანხმებით გათვალისწინებული ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ვალდებულების შესრულებას; კერძოდ, ევროპარლამენტისა და ევროსაბჭოს დირექტივის იმპლემენტაციას სამრეწველო ემისიების შესახებ. აღნიშნული კანონპროექტის თანახმად, 2026 წლიდან სამრეწველო საწარმოებს ეტაპობრივად რიგი ახალი ვალდებულებები დაუწესდება. მნიშვნელოვანია, რომ ასეთმა საწარმოებმა უზრუნველყონ საწარმოო პროცესის დროს უახლესი ტექნოლოგიისა და აღჭურვილობის გამოყენება ჰაერის, წყლისა და ნიადაგის დაბინძურების შესამცირებლად.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/en/news/details/21276/

ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიზნობრიობით გაცემული სესხის პროცენტს სახელმწიფო დაფარავს

მთავრობის გადაწყვეტილებით, ამოქმედდა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ქვეკომპონენტი, რომლის საფუძველზეც სოფლის განვითარების სააგენტო ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიზნობრიობით გაცემული სესხის პროცენტის თანადაფინანსებას მოახდენს. მას შემდეგ, რაც ბენეფიციარი დაადასტურებს, რომ სესხი მიზნობრივად გაიხარჯა, სოფლის განვითარების სააგენტო გაცემული სესხის 12 თვის პროცენტის თანადაფინანსებას განახორციელებს, წლიური 9%-ის ოდენობით, სესხის გაცემიდან არა უმეტეს 14 თვის განმავლობაში. სესხის წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმალური ოდენობა განისაზღვრება 18%-ით. პროექტის ფარგლებში, ერთ ბენეფიციარზე გაცემული სესხის თანხა განისაზღვრა 5,000 ლარიდან 100, 000 ლარამდე.

მეტი ინფორმაციისთვის იხ. ბმული: https://mepa.gov.ge/en/news/details/21240/

ISET-ის კვლევითი ინსტიტუტი
სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პოლიტიკა

ავტორები: ელენე სეთურიძე elene.seturidze@iset.ge
სალომე გელაშვილი s.gelashvili@iset.ge